

# საქართველო ფულადი დახმარებების მოლოდინშია

## მოსერხდება თუ არა ინფლაციური პროცესების მოთოკვა?

გაზეთი “National Business” – 15-22 სექტემბერი, № 033, 2008

საქართველოს მთავრობა დახმარების სახით დიდი თანხებს ელოდება. ჩვენს ქვეყანას დასავლეთი მილიარდებს ჰპირდება. 750 მილიონი დოლარი სავალუტო ფონდისგან, 1-დან 2 მილიარდ დოლარამდე აშშ-დან, სავარაუდოდ 1 მილიარდი დოლარი ევროკავშირისგან, 300 მილიონზე მეტი მსოფლიო ბანკიდან. ამ ფონზე საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ არსებული მონეტარული მდგომარეობა არ იძლევა იმის აუცილებლობას, რომ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლების გადახედვა მოხდეს.

ეროვნულ ბანკში იმედოვნებენ, რომ ქვეყანის საფინანსო სისტემა მიმდინარე წელს ერთნიშნა ინფლაციით დაასრულებს. საინტერესოა, რამდენად რეალურია ეროვნული ბანკის ასეთი იმედები, გაძლიერდება თუ არა ქვეყანაში ინფლაციური პროცესები საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი დახმარებების გამო ამ და სხვა საკითხებზე გაზეთ „ნაციონალურ ბიზნესს“ ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ლადო პაპავა ესაუბრა.

– ბატონო ლადო საქართველოს მთავრობა ფულადი დახმარების სახით დიდი ოდენობით თანხებს ელოდება. არსებობს თუ არა იმისი საფრთხე, რომ ქვეყნის ეკონომიკა მოზღვავებულ ტრანშებს ვერ გაუძლებს და ქვეყანაში ინფლაციური პროცესები დაიწყება?

– ზუსტად რამდენი შემოვა საზღვარგარეთიდან თანხა ჯერ არ ვიცით. ამ დროისთვის მხოლოდ ორი განცხადებაა გაკეთებული. პირველი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რომელიც საქართველოს 750 მილიონ ამერიკულ დოლარს მისცემს, აქედან წელს ქვეყანაში 300 მილიონი დოლარი შემოვა. ამ ფულის აკუმულირება საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვებში მოხდება და მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის (გაცვლითი კურსის სტაბილურობის, საბანკო სისტემის მდგრადობისათვის) იქნება გამოყენებული.

ასე რომ ამ ფულს რაღაც ინფლაციური კომპონენტი საერთოდ არ აქვს. რაც შეეხება აშშ-დან გამოგზავნილ ფულს, ერთ მილიარდ ამერიკულ დოლარს, ამ თანხიდან წელს მხოლოდ 570 მილიონი დოლარი უნდა შემოვიდეს. რა თქმა უნდა, ფული შემოვა ევროკავშირიდანაც, რომელიც სპეციალურად შეისწავლის საკითხს და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას. სავარაუდოდ, სპეციალური პროგრამა მსოფლიო ბანკსაც ექნება. ალბათ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დახმარებას ცალკე მოგვცემენ.

თურქეთის მთავრობამ საერთოდ თქვა, რომ გორის რეაბილიტაცია-აღდგენაში მიიღებს მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე უცნობია იმ თანხების ჯამური ოდენობა, რომელიც საქართველოში უნდა შემოვიდეს, იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ეს თანხები საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. ახლა რას გამოიწვევს ეს. ჯერ ერთი ამ თანხების გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ დაიხარჯება, ვინაიდან მთელი რიგი მანქანა-მოწყობილობები თუ სხვადასხვა ინვენტარი საზღვარგარეთ იქნება შექენილი.

ამის გარდა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტიც, რომ ომმა საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა გარკვეულწილად შეაფერხა. ახლა ზუსტად ვერ ვიტყვი როგორი თანაფარდობა იქნება უცხოური ინვესტიციების შემოსვლის შემცირებასა და ამ ეკონომიკური დახმარებით შემოსულ თანხებს შორის, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ის პოტენციური ინვესტორები, რომლებიც საქართველოში უნდა შემოსულიყვნენ, გარკვეული პერიოდი მაინც ვეღარ შემოვლენ.

ამიტომ იმაზე უფრო დიდი ინფლაციური პროცესი, ვიდრე საქართველოში აქამდე იყო, არ იქნება. ჩემი აზრით, საქართველოში ომამდე არსებული ინფლაციური პროცესები გაგრძელდება, მაგრამ ომის გამო ან კუთხით დამატებით საფრთხეს მე ვერ ვხედავ. თუმცა შესაძლოა სიტუაცია შეიცვალოს იმ კუთხით, რომ ფულადი დახმარების ოდენობა უფრო მეტი იყოს, ვიდრე ახლანდელი, ამ თანხების დიდი ნაწილი საქართველოში დაიხარჯოს, პარალელურად ინვესტირების დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნისკენ უმოკლეს დროში შემოტრიალდნენ და ფულის შემოტანა დაიწყონ. მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა რომ ასე მოხდეს.

– თუკი მაინც მოხდა ასე, მაშინ რა უნდა მოიმოქმედოს ქვეყნის ხელისუფლებამ, რომ საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი დახმარება საქართველოს ეკონომიკისთვის სახიფათო არ აღმოჩნდეს. და საერთოდ, 2008 წლის ბიუჯეტში ინფლაციის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 8 პროცენტით არის განსაზღვრული. რამდენად შეძლებს ქვეყნის ფინანსური სისტემა მიმდინარე წელი 8-პროცენტიანი ინფლაციით დაასრულოს?

– ინფლაციის მოთოკვის კუთხით ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შესაბამისი პროგრამის შემუშავება დასჭირდება. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოში არსებული მაღალი ინფლაციის პრობლემა ომისგამო უცხოეთიდან დახმარების სახით შემოსასვლელ თანხებს არ უნდა დავაბრალოთ. ეს პრობლემა ჩვენთან ყოველთვის იყო.

ომამდე ინფლაცია ისედაც იყო მაღალი. იმაზე უფრო დიდ ინფლაციას ამ ეტაპზე არ ველი. რაც შეეხება 8-პროცენტიან ინფლაციას, არაერთხელ მითქვამს, რომ ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებლები ხელოვნურადაა შემცურებული და სინამდვილეს არ ასახავს. ამ ეტაპზე ქვეყანაში ორნიშნა ინფლაციაა და, ბუნებრივია, ინფლაციური ტენდენციები ქვეყანაში კვლავ შენარჩუნდება. ამიტომ რეალურად რთული იქნება ერთნიშნა ინფლაციით წელი დავასრულოთ.

– ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გარკვეულწილად საფინანსო ბაზარზეც მოქმედებს. თქვენი შეფასებით, რა ვითარებაა ახლა რუსულ და ქართულ საფინანსო ბაზრებზე, რა სახის პრობლემები შეიძლება შეიქმნას?

– რუსეთის საფინანსო ბაზარი ევროპულ ბაზრებთან შედარებით ჩამორჩენილია, თუმცა საქართველოს საფინანსო ბაზართან შედარებით მეტადაა განვითარებული. რუსეთს შეექმნებოდა პრობლემა იმიტომ, რომ მას მოუწია ომში ჩართვა, მას აქვს აგრესორის იმიჯი და ეს, რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიოსთვის უარყოფითი შეტყობინებაა.

იმავედროულად, როდესაც ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულად აკრიტიკებენ რუსეთის მთავრობის ქმედებას და ისმის ასეთი მოსაზრებებიც, რომ გარკვეული ეკონომიკური სანქციები დაწესდეს მოსკოვზე, ბუნებრივია, ეს ინვესტიციებზე უარყოფითად მოქმედებს. ამან რუსეთის საფინანსო ბაზრიდან გარკვეულწილად ინვესტიციების გადინება გამოწვია. ამ ეტაპზე რუსეთში მწვავე ეკონომიკური კრიზისი არაა, მაგრამ შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევაში, თუკი ეს, ახლა რაც ხდება რუსეთის ეკონომიკაში, გაგრძელდება და ტენდენციის სახეს მიიღებს.

ეს კი გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, საოკუპაციო ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან არ გაიყვანს. ეს ყველაფერი თუ არ შესრულდება, ისე რუსეთის მიმართ ნდობა არ აღდგება. ვთქვათ, თუ შეწყდა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობა, თუკი სხვადასხვა პროექტში რუსეთის გლობალურ მონაწილეობაზე შეფერხებები იქნება, ეს ცუდი იქნება რუსეთის ეკონომიკისთვის, და მაშინ ჩამოყალიბდება კრიზისი, მაგრამ თუ რუსეთი გაიყვანს ჯარებს და მეტ-ნაკლებად საერთაშორისო ფორმატში ჩადგება, მაშინ ასე ვთქვათ, რუსეთი დღეს შექმნილ არასასურველ ვითარებას წარმატებით გაართმევს თავს.

რაც შეეხება საქართველოს, ჯერ-ჯერობით არც აქაა მწვავე ეკონომიკური კრიზისი. დადებითი იყო ეკონომიკისთვის ის, რომ საომარი მოქმედებების დროს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში პანიკა ნაკლებად შეინიშნებოდა. მხოლოდ ერთი დამე იყო, რომ ხალხი იმარაგებდა ბრინჯს, ფქვილს და მსგავსი სახეობის სამომხმარებლო პროდუქტებს. დანარჩენი პერიოდი ქვეყანაში ამ კუთხით სიწყინარე იყო. მაგალითად, მივესალმები იმას, რომ საქართველოში ბანკები ერთი დღით დაასვენეს, შეზღუდეს კრედიტების გაცემა.

– საუბარია ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შემოღებასა და სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე, ცხადია, ეს ასე მარტივად არ ხდება. ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის მთავრობის მხრიდან რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

– ეჭვი მეპარება, რომ ეს ყველაფერი ამ მთავრობის დროს მოხდეს. დღევანდელ ხელისუფლებას სურს ეკონომიკის სინგაპურიზაცია, ხოლო ჩვენი საფინანსო სისტემა ბაჰრეინიზაცია. ევროკავშირმა საგანგებოდ გამართულ სამიტზე კი მიიღო დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმი უნდა გამარტივდეს და ასევე უნდა მოხდეს აღნიშნულ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შემოღება.

თუმცა იმავე დადგენილებაში წერია, რომ ამ ყველაფერზე მხოლოდ მაშინ დაიწყება საუბარი, როგორც კი ამისათვის საჭირო პირობები იქნება შესრულებული. ახლა განვიხილოთ, რას ნიშნავს ეს ჩანაწერი. ეს პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ჩვენ რომ ევროკავშირის მოთხოვნები აქამდე შეგვესრულებინა, მაშინ დღეს აქ სულ სხვა ჩანაწერი გაჩნდებოდა, ანუ ევროკავშირი უფრო მეტს შემოგვთავაზებდა; დღეს ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებოდით და უფრო მეტად მივუახლოვდებოდით ევროპას.

ახლა კიდევ ერთი მხრიდან შევხედოთ ამას, ეს ჩანაწერი ნიშნავს, რომ არანაირი სავიზო რეჟიმი არ გამარტივდება და არც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე არ გადავალოთ, თუ მთავრობამ არ გაითვალისწინა ეს პირობები. ამის გათვალისწინება იცით რას ნიშნავს?

ძირეულად უნდა შეიცვალოს საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა, ძირეულად უნდა შეიცვალოს ქვეყნის ეკონომიკური მოდელი. მთავრობამ უარი უნდა თქვას ეკონომიკის სინგაპურიზაციაზე, მთავრობამ უარი უნდა თქვას ჩვენი ფინანსების ბაჰრეინიზაციაზე და ევროპული ფასეულობები უნდა იყოს არა მარტო დემაგოგია, არამედ – რეალობა. ეს წერია აქ, ამ ერთ, პატარა ფრაზაში. თუკი ვამბობთ, რომ ევროპაში გვინდა, პირველ რიგში, ევროპა უნდა შევქმნათ თვითონ საქართველოში, ეკონომიკის ევროპული მოდელი უნდა შევქმნათ აქ.

საქართველოს ევროპაში შესვლა იწყება ევროპის შექმნით საქართველოში. მართალია, რა პირობებზეა საუბარი, დადგენილებიდან არ ჩანს, მაგრამ ეს პირობები ყველასთვის ცხადია და ნათელი. პირველ რიგში მიღებულ უნდა იქნეს ევროპული კანონმდებლობა მიგრაციის შესახებ, ძირეულად უნდა შეიცვალოს შრომის კოდექსი, ქვეყანაში უნდა აღდგეს ანტიმონოპოლიური სამსახური, კანონი სურსათის უვნებლობაზე და ა.შ. თუმცა მე არ მჯერა, რომ ეს ამდენი სიკეთე ამ მთავრობის ხელში მოხდება.

**ხათუნა ნონიაშვილი**